

ყვარელი

გამოცემის 1932 წლიდან

ფასი 80 თეთრი

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნების შემდგომი სახელისუფლებო ცვლილებები განხორციელდა და შესაბამისად, ყვარლის მუნიციპალიტეტს ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს



ოთარ ბუჯიაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

დაიბადა 1973 წლის 5 ოქტომბერს ქ. ყვარელში.
1990 წელს დაამთავრა ყვარლის II საშუალო სკოლა, ხოლო 1996 წელს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი.
1997-98 წელს მუშაობდა დაიწყო ყვარლის პოლიკლინიკა-ამბულატორიის გაერთიანებაში სტატისტიკოსად. 1998 წლიდან 2005 წლამდე დაკავებული იყო კერძო ბიზნესით. 2005 წლიდან მუშაობდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს“ ბანკში ექსპერტ-შემფასებლად. 2013 წლიდან 2014 წლამდე ბანკ „კონსტანტაში“ საოპერაციოს უფროსად.
პარალელურად, 2010 წლიდან 2014 წლამდე ყვარლის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დეპუტატი და 2013 წლის აგვისტოდან ფრაქციის თავმჯდომარე იყო.
2014 წელს დაინიშნა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილედ. 2017 წლის თებერვლიდან მუშაობდა შპს „ენერჯიკონსტრუქციის“ მფლობელობაში არსებული ჰესის მენეჯერად.
მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში მაჟორიტარ წევრობის კანდიდატად ქ. ყვარელში წარადგინა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.
2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ოთარ ბუჯიაშვილი აირ-



ჩივს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ილია მზექალაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

დაიბადა 1969 წლის 27 ნოემბერს, ყვარელში, პედაგოგისა და ზოოტექნიკოსის ოჯახში. 1975-1986 წლებში სწავლობდა ყვარლის მე-3 საშუალო სკოლაში. 1989 წელს ჩაირიცხა მოსკოვის კვების მრეწველობის საკავშირო ინსტიტუტში. არის ღვინის ტექნოლოგი. სწავლის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა და 1994 წელს შპს „ყვარლის გვირაბში“ დაიწყო მუშაობა მელდინე ტექნოლოგად. 1998 წლიდან შპს „კასტელ საქართველოში“ გადავიდა იმავე თანამდებობაზე. 2002 წლიდან გადაწყვიტა თავად ჩამოეყალიბებინა ღვინის მწარმოებელი კომპანია და პროექტი წარმატებით განახორციელა. დღეს იგი შპს „გუნდაშური და კომპანიის“ მფლობელი და დირექტორია. 2014 წელს აირჩიეს ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლად.
ილია მზექალაშვილის გამგებლის თანამდებობაზე მოღვაწეობის პერიოდში მნიშვნელოვანი პროექტები განხორ-

ციელდა ყვარლის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ეკონომიკური აღმავლობისათვის, მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.
2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით და არჩეული იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.
მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით და არჩეული იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.
2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ილია მზექალაშვილი აირჩიეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.




კახა ასისტიშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

კახა ასისტიშვილი დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფელში 1982 წლის 22 ოქტომბერს. 2000 წელს დაამთავრა ახალსოფლის I საჯარო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო წმ.ნიკოლოზის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტში ოურიდიულ ფაკულტეტზე (2001-2005), მიენიჭა იურისტის კვალიფიკაცია, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.
2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად სოფ. ახალსოფელში წარადგინა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. 2017 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის დეკემბრამდე იყო – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ფრაქცია „ოცნება – მრეწველების“ თავმჯდომარე. 2018 წლის დეკემბრიდან 2021 წლის დეკემბრამდე – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ ყვარლის რაიონული ორგანიზაციის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელია.
2021 წლის მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნებში მაჟორიტარი წევრობის კანდიდატად სოფ. ახალსოფელში წარადგინა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.
2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე კახა ასისტიშვილი აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თამილა ბურკიაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

დაიბადა 1959 წლის 15 მარტს.
1975 წელს დაამთავრა ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის პირველი საშუალო სკოლა.
ხოლო, 1983 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი.
1984 წელს დაინიშნა ყვარლის რაიონული სავადმყოფოს სასწრაფო დახმარების პუნქტის ექიმად.
1986 – 1990 წლებში მუშაობდა ყვარლის რაიონული სავადმყოფოს მიმღები განყოფილების გამგედ. 1990 – 1996 წლებში – თერაპიული განყოფილების ორდინატორად. 1996 წელს დაინიშნა რაიონულ სავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ სამკურნალო დარბაზში.
1998 – 2011 წლებში მუშაობდა ყვარლის რაიონულ სავადმყოფოს ექიმ კარდიოლოგად.
მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით და არჩეულ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.
2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე თამილა ბურკიაშვილი აირჩიეს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება: ზ 88, 88213226

თარიღი: 18/11/2021 წელი
ზ. ნემსაძის დანიშნვის შესახებ
საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „აგ“ და „ე.ე“ ქვეპუნქტებისა და 61-ე მუხლის მეხამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად გბრძანებ:
1. დაინიშნოს ზურაბ ნემსაძე ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ და მისი თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 1700 (ათასშვიდაცხრამეტი) ლარის ოდენობით.
2. მერიის პირველმა სტრუქტურულმა ერთეულმა – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით.
3. ბრძანება ძალაშია 2021 წლის 18 ნოემბრიდან.
გვი ზაურტაშვილი ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია – მერი.

ზურაბ ნემსაძე

დაიბადა 1993 წლის 28 ივნისს ქ. გურჯაანში. 2000 წელს დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელობის ყვარლის მე-2 საჯარო სკოლა, ხოლო 2006 წელს თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი სტომატოლოგის სპეციალობით.
2006 წლიდან 2010 წლამდე მუშაობდა ტელეკომპანია „მზის“ სამეურნეო სამსახურში, 2012-2014 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის ქ. ყვარლის ადმინისტრაციულ ერთეულში სპეციალისტის თანამდებობაზე, 2015-2017 წლებში ყვარლის მუნიციპალიტეტის ჭიკაძის ადმინისტრაციულ ერთეულში სპეციალისტის თანამდებობაზე.
2017 წლიდან 2021 წლის 18 ნოემბრამდე ყვარლის მუნიციპალიტეტის ქ. ყვარლის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელია.
2021 წლის 18 ნოემბერს დაინიშნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილედ.
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს ახალი სახეები ხელმძღვანელობენ

ვანო მამულაშვილი –

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1986 წლის 14 იანვარს, ქ. მოსკოვში, მოსამსახურის ოჯახში. დედა – ექიმი, მამა ლენის ტექნოლოგი (მეღვინე).

2003 წელს დაამთავრა ყვარლის I საშუალო სკოლა, ხოლო 2003-2007 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი, ეკონომისტის სპეციალობით. 2007-2008 წელს ACCA-ის ინგლისურენოვანი კურსი „ფინანსური აღრიცხვა“, 2015 წელს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრში – „სახელმწიფო შესყიდვების კურსი“.

2008-2012 წლებში მუშაობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „ნოკი“-ში ექსპერტ-მენეჯერად.

2013-2017 წლებში მუშაობდა ააიპ „ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური“ შესყიდვების მთავარ სპეციალისტად.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად წარდგინდა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-მ, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი.

2017 წლის 20 ნოემბრის ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ვანო მამულაშვილი აირჩიეს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით



და არჩეულია ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ვანო მამულაშვილი აირჩიეს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარედ.

ოჯახური მდგომარეობა – დასაოჯახებელი.

ლევან გელაძე –

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე


დაიბადა 1981 წლის 27 იანვარს, ქ. ყვარელში, მოსამსახურის ოჯახში. 1998 წელს დაამთავრა ქ. ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა გ. თავართქილაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში – ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტზე და დაამთავრა 2003 წელს

2010-2011 წლებში მუშაობდა დაიწყო გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციაში მთავარ სპეციალისტად. 2011-2012 წლებში ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის რეგიონის მომსახურების განყოფილების უფროსია, ხოლო 2012-2015 წლებში ეროვნული სატყეო სააგენტოს ყვარლის უბნის უფროსია.

2015-2017 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს „საქართველოს მელორაცია“ კახეთის რეგიონის ქვემო ალანის სამმართველოს უფროსად. 2017 წლიდან მუშაობს „საქართველოს მელორაცია“ კახეთის რეგიონის ლაგოდეხი-ყვარლის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში მაჟორიტარ წევრობის კანდიდატად ქ. ყვარელში წარდგინდა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-მ, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.



2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ლევან გელაძე აირჩიეს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ზურაბ კაკანაძე –

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1989 წლის 21 სექტემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ბალოჯიანში. დედა – პედაგოგი, მამა ოფისისტი. 2006 წელს წარმატებით დაამთავრა ყვარლის მეორე საშუალო სკოლა, ხოლო 2006-2010 წლებში ფილიპე გოგინაშვილის სახელობის თბილისის იურიდიულ-ეკონომიკური ინსტიტუტი, საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის სპეციალობით.

2015-2017 წლებში მუშაობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლად ბალოჯიანის ადმინისტრაციულ ერთეულში.

2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ დასახელდა მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ბალოჯიანის ადმინისტრაციულ ერთეულში. არჩევნებში გამარჯვების შედეგად გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი.

2017 წლის 20 ნოემბრის ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ზურაბ კაკანაძე აირჩიეს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს მიერ დასახელდა მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად მთისძირი-ბალოჯიანის მაჟორიტარულ ოლქში. არჩევნებში დამარჯვებული გამარჯვების შედეგად გახდა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი.



2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე ზურაბ კაკანაძე კვლავ აირჩიეს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თამარ ჭერაშვილი – ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება“ ფრაქციის თავმჯდომარე

დაიბადა 1978 წლის 12 აპრილს. 1995 წელს დაამთავრა ქ. ყვარლის მესამე საშუალო სკოლა. 1996-2001 წლებში სწავლობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში, საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, ქიმიისა და ბიოლოგიის პედაგოგის სპეციალობით.


2014 – 2021 წლებში მუშაობდა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში, შრომითი ხელშეკრულებით – შესყიდვების სპეციალისტად.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს მუშაობდა მპგ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს რაიონულ შტაბში ლოჯისტიკის კოორდინატორად.

2016 წლიდან – დღემდე არის მპგ „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“-ს ყვარლის მუნიციპალური ორგანიზაციის აღმასრულებელი მდივანი.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს პარტიული სიით და არჩეულ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად.

2021 წლის 3 დეკემბერს ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე საკრებულომ ცნობად მიიღო დოკუმენტაცია ფრაქცია „ქართული ოცნება“ დაფუძნების შესახებ, ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობა დაიკავა – თამარ ჭერაშვილმა.



გიორგი ამირხანოვი –

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და გუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1960 წლის დეკემბერს სოფ. შილაში გლეხის ოჯახში. 1977 წელს დაამთავრა შილდის საჯარო სკოლა. 1980-1982 წელს მოხდა სამხედრო-სავალდებულო სამსახური.

1982-1986 წელს დაამთავრა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის ინსტიტუტის დაწყებითი სამხედრო მომზადება და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტი.

1987-1988 წლებში მუშაობდა დაიწყო სოფელ შილდის 2 საშუალო სკოლაში ფიზიკულტურის მასწავლებლად.

1988-1994 წლებში მუშაობს ინჟინრად. ხოლო 1998-2004 – ყვარლის ტექ. დათვალიერების დიაგნოსტიკური ცენტრის უფროსად. 2005-2006 – ლავიძის სასაზღვრო გამშვებ პუნქტში კონსულტანტად და 2012 წლიდან – ააიპ ყვარლის სერვისში შემოსავლების სამსახურის უფროსად.

მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის არჩევნებში მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად წარდგინდა პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-მ, სოფელ შილდის მაჟორიტარულ ოლქში. გაიმარჯვა და გახდა საკრებულოს წევრი. ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე აირჩიეს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარების ინფრასტრუქტურის



და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე ორი შვილი და ორი შვილიშვილი.

დათო ვარადაშვილი –

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

დაიბადა 1980 წლის 24 დეკემბერს, სოფ. გავაზში, გლეხის ოჯახში.

1998 წელს დაამთავრა სოფ. გავაზის საჯარო სკოლა, ხოლო 1998-2002 წლებში ტექნიკური უნივერსიტეტის, სატრანსპორტო ფაკულტეტი.

2003-2007 წლებში მუშაობდა საპატრულო პოლიციაში პატრულ ინსპექტორად.

2004-2013 წლებში სოფელ გავაზის რწმუნებულად.

2014 წლიდან მუშაობს შ.პ.ს. „არქიმედე“-ს კლინიკის ზედამხედველობის და უსაფრთხოების სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

2021 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს არჩევნებზე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად წარდგინდა პარტია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-მ. სოფ. გავაზის მაჟორიტარულ ოლქში, გაიმარჯვა და გახდა ყვარლის საკრებულოს წევრი.

ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სესიაზე აირჩიეს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.





წმიდა აბიბოსი შავთელის სასწაულთმოქმედის, ღირსი მამის სვიმონ მესვეტის (ხს. 1 სექტემბერს) მეგობარი იყო...

12 დეკემბერი წმინდა აბიბოს ნაქრისლის ხსენების დღეა

წმიდა აბიბოს ნეკრესელი, საქართველოში ჩამოვიდა VI საუკუნეში (ცამეტ ასურელ მამასთან ერთად)...

წმიდა მამა თავიდან ღირს იოანესთან და სხვა მძებთან ერთად ზადენის მთაზე ცხოვრობდა...

ამ დროს საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემელი სპარსელები ბატონობდნენ...

წმიდა აბიბოს ნეკრესელი დაუღალავად დადიოდა თავისი ეპარქიის სოფლებსა და დაბებში...

წმიდა ეპისკოპოსმა სასწაულთმოქმედ მეუღლებოეს სთხოვა, ელოცა მისთვის...

კადნიერი პასუხით გაგულსებულმა მარზაპანმა კვლავ ჰკითხა: „მე გკითხავ, რადასაქმას მოჰქალ ღმერთი ჩუენი და შენ გნებას...

ჯალათებმა საშინლად ტანჯეს ნეტარი აბიბოსი და ბოლოს „ქეთა განტვიინეს“...

„ქართველ წმიდანთა ცხოვრებანი“, თბილისი, 2004 წ.

ამ კუპიურების მიმოქცევის ვადა ინურება, შეამოწმეთ და დროულად გადაცვალეთ – ეროვნული ბანკი მოსახლეობას ავრთხილავს

საქართველოს ეროვნული ბანკი განცხადებას ავრცელებს და მოსახლეობას ახსენებს...

საქართველოს ეროვნული ბანკი მოქალაქეებს შეახსენებს, რომ 1995 და 1999 წლების გამოშვების ღირსი ნივთების მიმოქცევის ვადა ინურება...

საბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ყველა ურთიერთობა და ფიზიკური პირი ვალდებულია...

„ხელოვნებაა თავად უკვდავება, მხოლოდ მსტატს ვერ ეწევა სიკვდილი“

კარგი ნახატის დანახვისას ბევრჯერ გვიფიქრია, მაინც რა არის ხელოვნება? დიდ ხელოვნა ნივთებთან ვითხოვლობთ...

– ვალოდია, რამდენი წლის ასაკში დაინტერესდი ხატებით და ვინ იყო შენი პირველი მასწავლებელი? – არ მახსოვს...



– ძალიან ხშირად რომ არ მომწონებია ნახატი, საღებავებით გადამიშლია და სხვა დამიხატავს. – თუ დაგიხატავს ოჯახის წევრთა პორტრეტები? – დამიხატავს, მაგრამ ძალიან იშვიათად...


– გააჩნია სურათის ზომას, სირთულეს, კომპოზიციის შექმნას უფრო მეტ დროს ვანდომებ, ვიდრე დახატვას. დამიხატავს ორ-სამ დღეში ყველაზე სწრაფად. როდესაც ეს კისი ვაკეთებ, სწრაფი ჩანახატი ათ-თხუთმეტ წუთში დამიხატავს. – შენთვის ყველაზე მოსაწონი ნახატი? – მაქვს ნახატები, რომლებიც მიყვარს და ვერ შევეცივი, ვერ დავასახელებ. – კარიკატურების ხატვა თუ გიტაცებს? – კარიკატურები შემიძროლებია მაგრამ ნაკლებად, თუმცა მიყვარს. – შენი ნახატების გამოფენების შესახებ რას გვეტყობი? – გამოფენებში ბევრჯერ მიმიღია მონაწილეობა...



წორები, ცდილობენ შექმნან ახალი თავიანთი შეგრძნებების და დამოკიდებულებების გამოხატულება...

– შენს ეზოში შემოსვლისთანავე იგრძნობა, რომ აქ მხატვარი ცხოვრობს. არ გაგიჩივრებ ამ ჩანაფიქრის განხორციელება? – ამ სამყაროს, ყველაფერს – ბუნებას მე ვუყურებ მხატვრული თვალით...

ესაუბრა დალი ტატულიძე



ინფრასტრუქტურული პროექტები დასრულების ფაზაშია

«განახლებული რეგიონების» ფარგლებში ქ. ყვარელში მიმდინარე სამუშაოებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, კობა გაბუნია, კახეთის სახელმწიფო რწმუნებული, ირაკლი შიოშვილი და ყვარლის მუნიციპალიტეტის მერი გივი ზაუტაშვილი გაეცნენ!

დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში, იცვლება შენობების კარ-ფანჯრები, მიმდინარეობს საინჟინრო და საკომუნიკაციო სისტემების გამართვა, სკვერებისა და პარკების რეკონსტრუქცია, რეკრეაციული და დასასვენებელი სივრცეების, ტროტუარების, განათების მოწყობა და სხვა.

კახეთის რეგიონში დასასრულს უახლოვდება თელავის შემოსასვლელში თბილისის გზატკეცილსა და რუს-



თაველის ქუჩაზე მდებარე შენობების რეაბილიტაცია; ახმეტაში ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ურბანული განახლების აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს; გურჯაანში რეაბილიტაცია უტარდება ნონეშვილის ქუჩასა და დასასვენებელ პარკებს; დედოფლისწყაროში ცენტრალური ნაწილს, ხოლო ყვარელში ილია ჭავჭავაძის ქუჩის განახლება სრულდება; ლაგოდეხში ზაქათაის ქუჩისა და ე.წ. «პოლკოვის ბაღის», საგარეჯოში დავით აღმაშენებლის ქუჩის, ხოლო სიღნაღი სხვადასხვა ქუჩაზე სემინტური რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს.

სახელმწიფო პროგრამა პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაიწყო და დასრულების ფაზაშია.

როგორ შევხვდეთ 2022-ს, ვეფხვის წელს? – როგორ მოვრთოთ სახლი და რა მოვამზადოთ



თანამედროვე საახალწლო ტრადიციები ეროვნული და ჩინური საახალწლო ტრადიციების ერთგვარი მიქსია.

მომავალი, 2022 წელი შავი (ლურჯი) ვეფხვის წელია. ვეფხვის წელი რეალურად 1-ელ თებერვალს იწყება, თუმცა ტრადიციულად, ჩვენ 31 დეკემბერს ვეგებებით ახალ წელს.

გამომდინარე იქიდან, რომ ვეფხვი რეალური ცხოველია, მას რეალურ ინფორმაციებზე დაყრდნობით უნდა შევეგებოთ. ანუ უნდა გავითვალისწინოთ ყველაფერი, რაც ვეფხვის შესახებ ვიცით.

მოსამზადებელი ეტაპი შეგვიძლია დავყოთ ხუთ პირობით ფაზად, პუნქტად: შეხვედრის ადგილი, მორთულობა, მენიუ, საჩუქრები და სამოსი.

მაშ ასე:

სად შევხვდეთ

როგორც ვიცით, ვეფხვი მარტოხელა მონადირე ცხოველია, რომელსაც არ უყვარს უცხოები, თუმცა სოლიდარულია მონათესავე ცხოველების მიმართ. მაშასადამე, ოჯახური გარემო და ნათესავები დიდწილად განაპირობებს 2022 წლის მზრახველობის, ვეფხვის დადებით განწყობას თქვენ მიმართ. კლუბებზე, დისკოთეკებზე და გართობებზე ამ შემთხვევაში უმჯობესია უარი თქვათ და ოჯახურ გარემოზე ფოკუსირდეთ.

რა მოვამზადოთ

ვეფხვი მტაცებელი ცხოველია. დიდი ცხოველების გარდა, ისეთები, როგორებიც არიან ღორი, ირემი და ა.შ., ვეფხვი პატარა-პატარა ცხოველებზე, კურდღლებზე, მელაზე და ა.შ. ნადირობს. სუფრაზე ხორცეული უნდა იყოს – ღორის, კურდღლის, ქათმის, თუმცა ასევე გვირჩევენ ასტროლოგები, სუფრას არ მოეკლოთ ხილეული, ასევე თხილეული და სხვადასხვა ბოსტნეული. ასე რომ, სუფრა შესაძლოა იყოს ძალიან მრავალფეროვანი.

როგორ მოვრთოთ სახლი

მიუხედავად იმისა, სად აპირებთ ახალი წლის შეხვედრას, სტუმრად თუ სახლში, სახლის მორთვა ნამდვილად აუცილებელია. საახალწლო აქსესუარები ხასიათსაც გამოგიკეთებთ და დღესასწაულსაც უფრო ხალისიანს გახდის. თანაც, თუ ყველა ოთახში შეიტანთ დეკორის მცირე ელემენტს მაინც, ძალიან კარგი იქნება.

სახლის მორთვის დროს უმჯობესია გავისწინოთ ვეფხვის საყვარელი ფერები. შავი, ვეფხვის ფერი შავია, ასევე ლურჯი, წყლისფერი, თეთრი, ღია ყავისფერი, ნარინჯისფერი, მოოქროსფერი, მოვერცხლისფერი. სწორედ ეს ფერები უნდა გამოიყენოთ დეკორში.

სახლის მორთვის დროს არ უნდა და-

ივინყოთ კლასიკური ატრიბუტები, მაგალითად ნაძვის ხე, გირლანდები, განათებები და ა.შ. დანარჩენი აქსესუარები, ტექსტილი, ბალიშები, პლედები და სხვა ატრიბუტები უკვე თქვენს გემოვნებაზე დამოკიდებულია. აირჩიეთ ერთი რომელიმე სტილი, იქნება ეს პროვანსი, კლასიკური, რეტრო თუ სხვა და ამ სტილს მიჰყევით სახლის საახალწლო გაფორმებისა და ნაძვის ხის მორთვის დროს. არ დაგაიწყდეთ ასევე ვეფხვის გამოსახულებიანი თუნდაც პატარა სუვენირი.

ეცადეთ, სახლი გარედანაც მორთოთ და ზღურბლიდანვე შეიქმნათ საახალწლო განწყობა.

რა ჩავიცვათ

ამ შემთხვევაში ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, თუ სად ხვდებით ახალ წელს. რაც შეეხება ფერებს, უპირატესობა ღია ფერებს უნდა მიანიჭოთ. აქსესუარებად ძალიან კარგი იქნება სხვადასხვა ტიპის ქვები, განსაკუთრებით – გამჭვირველი.

რა ვაჩუქოთ

საჩუქარი ახალი წლის ისეთივე მნიშვნელოვანი ნაწილია, როგორც თოვლი. რა თქმა უნდა, ვეფხვის გამოსახულებიანი ნივთები აქტუალური იქნება, ასევე ყველაფერი შეგიძლიათ აჩუქოთ ადამიანს, რაც მას სიხარულს და ბედნიერებას მიანიჭებს.

გილოცვაი

ქეთევან და ავთანდილ გრატიაშვილებს!

ქალბატონო ქეთევან, ბატონო ავთანდილ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრების სარბიელზე, ულევ სიხარულს თქვენს ლამაზ ოჯახებთან ერთად, დაესწარიო მრავალს!

უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ.

ტარიელ გრატიაშვილი, მამუკა ბერიაშვილი, ვია პაპუაშვილი, ვახტანგ მეტრეველი, ლერი ტურაშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი

ალიან ლაფაჩიშვილს!

ძვირფასო მეგობარო, გულწრფელად გილოცავთ ოთხმოცი წლის იუბილეს, ასე მხნედ და ჯანმრთელად გაგელოის შემდგომი წლები.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში, ოჯახურ კეთილდღეობას და უფლის წყალობას.

მეგობრების სახელით: ომარ სეფაშვილი, ილია ჯაფოშვილი, ალექსანდრე გიგილოშვილი

მამუკა ბერიაშვილს!

გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ულევ სიხარულს შენს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

უფალი იყოს შენი მფარველი.

მეგობრების სახელით: ტარიელ გრატიაშვილი, ლერი ტურაშვილი, ლევან კურტანიძე, ვახო მეტრეველი, მალხაზ ბენდიანიშვილი, ვია პაპუაშვილი ალექსანდრე გიგილოშვილი



თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია, სმა ამოიღოს, კალაღობის წინააღმდეგ...

ცხოვრებაში ხშირად ვსაუბრობთ ძალადობაზე. ეს სიტყვა ძალიან ბევრ რამეზე გვაფიქრებს. ძალადობის მონემენი ვხდებით ჩვენი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში. მაგალითად ოჯახში, ქუჩაში, სკოლაში და ა.შ.

ხშირია ასევე ცხოველთა მიმართ ძალადობა. მართალია ქვეყანაში არსებობს კანონები, რომელიც ძალადობის წინააღმდეგ მოქმედებს, მაგრამ ვფიქრობ რომ ეს არ არის საკმარისი ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ჩვენ, ვალდებულები ვართ, როგორც ამ საზოგადოების წევრები, ასეთ მანკიერებას ვებრძოლოთ, გამოვიჩინოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ძალადობის ფაქტებს თუ დავინახავთ, აუცილებლად ჩავერიოთ. იცით რატომ ვამბობ ასე? – იმიტომ, რომ ძალიან ბევრჯერ გავხვდით მონმე ოჯახური ძალადობის შედეგად რამდენი ადამიანი გარდაიცვალა. რამდენმა მოზარდმა დაასრულა თვითმკვლელობით სიცოცხლე, რამდენი ბავშვი და მოზარდი იჩაგრება თანატოლებისგან სკოლაში, რამდენი

ცხოველი მოკლეს უსულგულო ადამიანებმა ნამებით, რამდენი ადამიანის ფსიქიკა და ცხოვრება ინგრევა ყოველდღიურად და კიდევ მრავალი ასეთი ფაქტი.

მთავარი პრობლემა კი იმაშია, რომ ადამიანები გულგრილები არიან, როცა ძალადობის ფაქტებს ხედავენ, რატომღაც ჰგონიათ, რომ ეს სხვის საქმეში ჩარევა, მათ არ ეხება და გაჩუმებას ამჯობინებენ, რაც ყველაზე დიდი დანაშაულია. ამ დროს, თითოეული ჩვენგანი ვალდებულია, ხმა ამოიღოს, ძალადობის წინააღმდეგ. თუ საჭიროა, პოლიცია გამოიძახოს, თუნდაც მთელი ქვეყანა შეყაროს. ასე შეიძლება ბევრი ადამიანის თუ ცხოველის დაცვა და გადარჩენა. ეს არის, ერთერთი მაგალითი აქტიური მოქალაქეობის. ასეთი დამოკიდებულებით ჩვენ დიდ სარგებელს მოვუტანთ საზოგადოებას და ქვეყანას.

თაია გიგილოშვილი
ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის №1 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

